

ფაღავა შოხაძე

ᲬᲐᲗᲣᲚᲘᲡ
ᲘᲠᲘᲐ
ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ
ᲜᲐᲮᲔᲠᲢᲬᲘᲡ

100

ᲜᲐᲮᲔᲠᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲨᲔᲣᲡᲬᲐᲛᲘ

შალვა გეჯაძე ბათუმის სახელმწიფო თეატრის ძველი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. თეატრალურ ხელოვნებას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ეზიარა, აქვე დაამთავრა თეატრთან არსებული სტუდია და წლების მანძილზე მოღვაწეობდა სცენის ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან, როგორიცაა: ვ. ანჯაფარიძე, ს. ზაქარიაძე, შ. ღამბაშიძე, გ. შავგულიძე და სხვ.

ბათუმის დრამატულ თეატრში შ. გეჯაძე 1941 წელს გადმოვიდა სამუშაოდ. პირველივე სპექტაკლიდან მსახიობმა მაყურებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აქედან იწყება მისი შემოქმედებითი ნიჭის აღიარებაც. შ. გეჯაძისათვის დამახასიათებელია როლისადმი გულისხმიერი და სერიოზული დამოკიდებულება, სცენურ სახეზე მუშაობს მთელი მონდომებით და თავადაც დიდ სიხარულს განიცდის. ამასთან, გამოირჩევა მაღალი კულტურითა და პროფესიონალიზმით. იგი ერთნაირი ოსტატობით თამაშობს როგორც დიდ, ისე პატარა როლს. ვისაც შ. გეჯაძე სცენაზე უნახავს, არ შეიძლება არ შეენიშნა მისი ფბრალოება, სისადავე. მას არასოდეს არ უცდია ესე თუ ის როლი ყალბი თეატრალურობით წარმოედგინა. დაკვირვებული, ბეჯითი მუშაობის შედეგია ისიც რომ, ხშირად პატარა როლის შესრულებისას ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თავის პერსონაჟს კი სპექტაკლის განუყოფელ ნაწილად აქცევს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მსახიობი მონაწილეობდა ამ თეატრის შესანიშნავ სპექტაკლებში: კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში", პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" და სხვ.

ათეული წლების მანძილზე შ. გეჯაძეს ბათუმის თეატრის სცენაზე მრავალი დიდი და პატარა როლი უთამაშია: „შაჰ-აბასი (დ. ერისთავის „სამშობლო"), ვურმი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული"), მეწისქვილე (გ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი"), მეზღვაური მიტია (გ. მდივნის „პარტიზანები"), საქუა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ") და სხვა. შეუძლებელია მაყურებელს დაავიწყდეს ღრმა უშუალობითა და გულწრფელობით გამთბარი როსტომი მ. მრევლიშვილის „ბარათაშვილში", მზაკვარი ომიდე ვ. ჰიუგოს „ანუელაში". მნიშვნელოვანი გამარჯვება ხვდა გეჯაძის საიათნოვას ლ. გოთუას „მეფე ერეკლეში" და გლახას გ. ივანიშვილის „გზებში". მაყურებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა გროტესკულ პლანში გადაწყვეტილი ბურდღუ ტაბაღუას როლი კ. ბუაჩიძის „მკაცრ ქალიშვილებში".

შ. გეჯაძის თამაშს პრესა ყოველთვის დადებითად ეხმაურებოდა. როცა ათვალიერებ რეცენზიებს, მართალია, ზოგან თითო ფრაზაა, მაგრამ იმ ერთ ფრაზაშიც იგრძნობა, თუ რა დიდი ოსტატობით შეუქმნია მსახიობს სცენური სახეები „ბრმა ზაკონისის (ნ. პერიალისი „ბაფთიანი გოგონა") მოძრაობის ყველა დეტალი სიზუსტითაა გააზრებული, ასეთი სცენური სახეები ადვილად არ იქმნება, მას ნიჭთან ერთად დიდი მუშაობა უნდა. „გეჯაძე — ზაკონისი სპექტაკლის ხერხემალია და მნიშვნელოვნად განაპირობებს მის გამარჯვებას"... „ძალიან კარგ შედეგებს მიაღწია ბელოგუბოვის როლში ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", მის მიერ შექმნილ სახეს მან ტიპიური ინტონაცია და ჟესტები შეურჩია. განსაკუთრებით კარგია მისი ჟესტი გულთან მიტანილი დამუშტული ხელები, წელში მოხრილი, თავდახრილი და ბედნიერი ღიმილით დაღმეჭილი სახე. აი, კაცუნა, მლიქვნელის განსახიერება, დიდთან პატარა და პატარასთან დიდი"...

შალვა გეჯაძეს 1961 წელს გადაუხადეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავი. ეს იყო მაყურებელთა აღიარება, ის სიყვარული, რომელიც მან მოიპოვა სცენაზე განსახიერებული როლებით. შ. გეჯაძეს 1946 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ, ხოლო 1961 წელს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ნოდარ მოდებაძე



პახომი. „ბაგრატიონი"



ბაბუა. „ღიმილის ბიჭები“





ბრმა. „ბაფთიანი გოგონა“

როსტომი. „ბარათაშვილი“



მოშიაშვილი.
„საბრალდებო დასკვნა“

ნაცარქექია. „ნაცარქექია“

ომედეი. „ანჟელო“

ШАЛВА ГЕДЖАДЗЕ

(На грузинском языке)

რედაქტორი ვაჟა ძიგუა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
რეკლამების გამომშვები დირექციის გამოცემა
მისამართი: რუსთაველის პრ. 18, ტელ. 93-56-34
Издание Дирекции по выпуску реклам
Министерства культуры ГССР
Адрес: пр. Руставели 18, тел. 93 56 34

შეკ. № 845 უე 13769 ტირ. 1000 ფასი 25 კაპ.

საქართველოს კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.